ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №139

2015 წლის 30 სექტემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების წლიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 56.9 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე საწყისი (ს/კ №20.42.04.385) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 56.9 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე